

მოქალაქეთა ასამბლეა

წესების კრებული

სარჩევი

ნაწილი 1. რას არის მოქალაქეთა ასამბლეა?	2
ნაწილი 2. მენეჯმენტი	2
ნაწილი 3. მონაწილეთა ჯგუფი	4
ნაწილი 4. შემთხვევითი შერჩევა	5
ნაწილი 5. მონაწილეთა უფლებები	6
ნაწილი 6. ექსპერტები	7
ნაწილი 7. დაინტერესებული მხარეები	8
ნაწილი 8. ფასილიტატორები	11
ნაწილი 9. დამკვირვებლები	11
ნაწილი 10. რეკომენდაციების შემუშავება	12
ნაწილი 11. საბოლოო კენჭისყრა	13
ნაწილი 12. შედეგი	15

ნაწილი 1. რა არის მოქალაქეთა ასამბლეა?

1. მოქალაქეთა ასამბლეა წარმოადგენს საჯარო კონსულტაციების პროცესს შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული და დემოგრაფიულად წარმომადგენლობითი მოქალაქეთა ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც სათათბირო დემოკრატიის (deliberative democracy) პრინციპებზეა დაფუძნებული.
2. მოქალაქეთა ასამბლეის მიზანია უკეთესი გადაწყვეტილების მიღება. მისი მეშვეობით შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მოქალაქეებისგან და საშუალებას იძლევა უკეთესად იქნეს გააზრებული მოქალაქეთა მოსაზრებები ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით.
3. მოქალაქეთა ასამბლეის ფორმატი ისეთი სპეციფიკური თემების გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა, რომელთა განხილვაც შესაძლებელია 1 სასწავლო დღის მანძილზე.
4. მოქალაქეთა ასამბლეის სასწავლო დღის პროგრამა ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ ფორმატს და მოიცავს ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ შერჩეულ თემაზე გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციების ჩატარებას და გარკვეულ დროს მცირე ჯგუფებში სასაუბროდ.
5. მოქალაქეთა ასამბლეა ეფუძნება შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს:
 - 1) ურთიერთპატივისცემას;
 - 2) მიმდებლობას განსხვავებული პერსპექტივებისა და მრავალფეროვანი მოსაზრებების მიმართ;
 - 3) ღიად და ინტერესით მოსმენას;
 - 4) პროცესისგან სიამოვნების მიღებას, რაც ასევე განსაზღვრავს პროცესის წარმატებას.

ნაწილი 2. მენეჯმენტი

1. მოქალაქეთა ასამბლეას უძღვება საკოორდინაციო გუნდი (კოორდინატორი).
2. საკოორდინაციო გუნდი არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მის მოვალეობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. კოორდინატორი არ შეიძლება იყოს აქტიური პოლიტიკოსი, საჯარო მოხელე ან უშუალო დაინტერესებული მხარე.

3. საკოორდინაციო გუნდის მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
 - 1) შემთხვევითი შერჩევის პროცესის დაგეგმვა;
 - 2) საჭიროების შემთხვევაში, წესების კრებულის განახლება;
 - 3) ვებგვერდის უზრუნველყოფა იმ მოქალაქეთა რეგისტრაციის მიზნით, რომლებსაც მოქალაქეთა ასამბლეაში სურთ მონაწილეობის მიღება;
 - 4) საბოლოო შემთხვევითი შერჩევის პროცესის წარმართვა;
 - 5) მონაწილეებთან კონტაქტი;
 - 6) დაინტერესებული მხარეების ღია წესით დაკომპლექტება;
 - 7) ექსპერტთა შერჩევა;
 - 8) მოქალაქეთა ასამბლეის მონაწილე ჯგუფის შეხვედრების დღის წესრიგის მომზადება;
 - 9) მონაწილეთა ჯგუფის ყველა შეხვედრის ორგანიზება;
 - 10) ფასილიტატორთა შერჩევა;
 - 11) საბოლოო კენჭისყრის ჩატარება შემოთავაზებებთან დაკავშირებით საბოლოო რეკომენდაციების შესამუშავებლად.
 - 12) საბოლოო რეკომენდაციების ჩამონათვალის მომზადება.
4. მოქალაქეთა ასამბლეის ორგანიზებისას საკოორდინაციო გუნდს მხარს უჭერს მერია. მერიის მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
 - 1) მონაცემთა ბაზის მომზადება პირველი შემთხვევითი შერჩევისთვის;
 - 2) იმ მოქალაქეთა შემთხვევითობის პრინციპით შერჩევა, რომლებმაც მოსაწვევები მიიღეს;
 - 3) მოსაწვევების გაგზავნა;
 - 4) ოჯახებში შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე ვიზიტების ორგანიზება პერსონალური მოწვევის მიზნით (არასავალდებულო)
 - 5) ტელეფონით რეგისტრაციის ორგანიზება;
 - 6) მოქალაქეთა ასამბლეის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება.
5. საკოორდინაციო გუნდს პროცესის წარმართვაში შეიძლება დაეხმაროს სათათბირო

პროცესებში გამოცდილების მქონე სახელმძღვანელო გუნდი.

ნაწილი 3. მონაწილეთა ჯგუფი

1. მოქალაქეთა ასამბლეა შედგება 36 მონაწილისგან.
2. მონაწილეობისათვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისობის შემდეგ კრიტერიუმებს:
 - 1) უნდა იყოს იმ ქალაქის მაცხოვრებელი, სადაც მოქალაქეთა ასამბლეა იმართება;
 - 2) უნდა იყოს 18 წელს მიღწეული პირი;
 - 3) პირადად მიიღოს მონაწილეობის მოწვევა ან ცხოვრობდეს იმ ოჯახში, რომელმაც მოქალაქეთა ასამბლეაში მონაწილეობის მოწვევა მიიღო (დამოკიდებულია მოქალაქეთა მოწვევის შერჩეულ მეთოდზე);
 - 4) დაადასტუროს მოქალაქეთა ასამბლეაში მონაწილეობის მზადყოფნა.
3. მონაწილეთა ჯგუფის შემადგენლობა ასახავს ქალაქის დემოგრაფიულ სტრუქტურას, სულ მცირე, შემდეგ კრიტერიუმებთან მიმართებაში:
 - 1) სქესი;
 - 2) ასაკობრივი ჯგუფი:
 - a) 18-24 წელი,
 - b) 25-39 წელი,
 - c) 40-64 წელი,
 - d) 65+ წელი;
 - 3) განათლების დონე;
 - 4) ქალაქის უბანი.
4. შემდეგ პირებს არ აქვთ უფლება გახდნენ მონაწილეთა ჯგუფის წევრები:
 - 1) ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები:
 - რომლებსაც ხელმძღვანელი თანამდებობები უკავიათ;

- პირები, რომლებიც მოქალაქეთა ასამბლეის განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ სფეროში მუშაობენ;
- 2) პირები, რომლებიც ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებენ ქალაქის საჯარო ორგანიზაციულ ერთეულებში;
- 3) არჩეული პოლიტიკოსები და თანამდებობაზე პოლიტიკური ნიშნით დანიშნული პირები, მათ შორის, მათი მრჩეველები;
- 4) ლობისტები, რომლებიც მოქალაქეთა ასამბლეის განსახილველ თემასთან დაკავშირებულ სფეროში მოღვაწეობენ;
- 5) დაინტერესებულ მხარეთა (ე.წ. სთეიქჰოლდერები) ჯგუფის წევრები, მათ შორის, საბჭოს წევრები;
- 6) დაინტერესებულ მხარეთა (ე.წ. სთეიქჰოლდერები) ჯგუფის თანამშრომლები, რომლებიც კავშირში არიან მოქალაქეთა ასამბლეის განსახილველ თემასთან;
- 7) ექსპერტები, დამკვირვებლები ან ფასილიტატორები.

ნაწილი 4. შემთხვევითი შერჩევა

1. ყველა მონაწილის შერჩევა ხდება შემთხვევითობის პრინციპით.
2. შემთხვევითი შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მონაწილეების მოწვევა, ხოლო მეორე ეტაპზე მონაწილეთა საბოლოო ჯგუფის შერჩევა, ასევე შემთხვევითობის პრინციპით.
3. მოქალაქეთა ასამბლეაში მონაწილეობის მოწვევები იგზავნება შემთხვევით შერჩეულ 2000 პირს ან 2000 ოჯახს მონაცემების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე.
4. მონაწილეობის უფლების მქონე პირთა ან ოჯახების სრული სია მხედველობაში მიიღება შემთხვევითი შერჩევის პირველ ეტაპზე.
5. მონაწილეობის მოწვევა შეიცავს ვრცელ ინფორმაციას პროცესის შესახებ.
6. პირთა ან ოჯახთა ჯგუფიდან, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით მოსაწვევების გასაგზავნად შეირჩნენ, ხდება 100 მათგანის შერჩევა ოჯახებში ვიზიტებისთვის, რათა პერსონალურად გადაეცეთ მოწვევის წერილი

(არასავალდებულო). შემთხვევითი შერჩევა ოჯახებში ვიზიტებისთვის ისეთ უბნებში, სადაც ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, ემსახურება მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისებას.

7. მოქალაქეთა ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად მოქალაქეებს რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ ვებგვერდის ან ტელეფონის საშუალებით.
8. მონაწილეთა შერჩევის დასკვნით ეტაპზე გამოიყენება შემთხვევითი შერჩევის ანალოგიური მეთოდი (მაგ. წილისყრა), რომლის ნახვაც შესაძლებელი იქნება პირდაპირ ეთერში.

ნაწილი 5. მონაწილეთა უფლებები

1. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს:
 - 1) მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეთა ასამბლეის ყველა შეხვედრაში;
 - 2) შეხვედრის დროს, განსაზღვრული დროის განმავლობაში კითხვები დაუსვას პრეზენტაციის წარმდგენებს;
 - 3) შეხვედრებს შორის პერიოდებში გამოითხოვოს ექსპერტების და დაინტერესებული მხარეების დამატებითი მოსაზრებები. ამგვარი თხოვნაზე რეაგირებას ახდენს საკოორდინაციო ჯგუფი;
 - 4) გამოხატოს/დააფიქსიროს მოსაზრებები/წინადადებები რეკომენდაციებისთვის;
 - 5) მონაწილეობა მიიღოს რეკომენდაციებთან დაკავშირებულ დისკუსიებში;
 - 6) დააყენოს დღის წესრიგში დისკუსიებში განხილული ინფორმაციის სიზუსტის შემოწმება (ფაქტების გადამოწმება);
 - 7) მონაწილეობა მიიღოს რეკომენდაციებთან დაკავშირებულ საბოლოო კენჭისყრაში, მე-2 პუნქტში მითითებული პირობის შესაბამისად;
 - 8) დააყენოს დღის წესრიგში დამატებითი ექსპერტების მოწვევის საკითხი;
 - 9) დააყენოს დღის წესრიგში ფასილიტატორების ჩანაცვლების საკითხი;
 - 10) დააყენოს დღის წესრიგში მონაწილეთა ჯგუფთან დამატებითი შეხვედრების გამართვის საკითხი;
 - 11) არ გაამჟღავნონ საკუთარი ვინაობა;

2. საბოლოო კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მოქალაქეთა ასამბლეის წინა ორ შეხვედრაში.
3. თუ მონაწილე დღის წესრიგში დააყენებს ისეთი ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმებას, რომელიც მოქალაქეთა ასამბლეაზე იყო წარმოდგენილი, ფაქტების გადამოწმებას უზრუნველყოფს საკოორდინაციო გუნდი. პასუხები წარედგინება ყველა მონაწილეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით.
4. მონაწილეებს ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირება შეუძლიათ მხოლოდ მოქალაქეთა ასამბლეის დროს ან საკოორდინაციო გუნდის მეშვეობით.
5. მოქალაქეთა ასამბლეის მონაწილეთა ვინაობა შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ პროცესის დასრულების შემდეგ.

ნაწილი 6. ექსპერტები

1. ექსპერტი არის პირი, რომელიც სპეციალიზებულია მოქალაქეთა ასამბლეის განსახილველ საკითხში პროფესიით, განათლებით, ტრენინგებით, უნარებითა თუ გამოცდილებით და რომლის როლიც არის ამ ცოდნის მონაწილეებისთვის გადაცემა.
2. პირები, რომლებიც ერკვევიან მოქალაქეთა ასამბლეის განსახილველ თემატიკაში, მათი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილების გამო შეიძლება ექსპერტთან ერთად მიიწვიონ მოქალაქეთა ასამბლეაში მოწმის სახით მონაწილეობის მისაღებად.
3. სამ ექსპერტს შეარჩევს საკოორდინაციო გუნდი, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები განსახილველ საკითხზე. ერთ ექსპერტს ირჩევს მერია და იგი შეიძლება იყოს საჯარო მოხელე.
4. ექსპერტის მოვალეობები მოიცავს:
 - 1) სწავლის ეტაპზე პრეზენტაციის წარდგენას;
 - 2) მონაწილეებთან ერთად დიალოგში მონაწილეობის მიღებას მცირე ჯგუფებში დისკუსიის დროს;
 - 3) წერილობითი მასალების მომზადებას, რომლებიც მოიცავს პრეზენტაციის მოკლე შინაარსს და რეკომენდაციებთან დაკავშირებულ წინადადებებს;
 - 4) მონაწილეთათვის სხვა საგანმანათლებლო მასალების მომზადებას წერილობითი ფორმით;
 - 5) მოსაზრებების გამოთქმას მონაწილეებისა და სხვა ექსპერტების მიერ მომზადებულ რეკომენდაციებზე;

5. ექსპერტს შეუძლია აირჩიოს მე-5 პუნქტის მე-2-მე-4 ქვეპუნქტებში მითითებული მასალების მიწოდება პრეზენტაციის წარდგენის სანაცვლოდ.
6. თითოეულ ეტაპზე ექსპერტების მიერ გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციის წარდგენისთვის გამოყოფილი დრო 12 წუთს შეადგენს.
7. მცირე ჯგუფებში ექსპერტებთან დისკუსიებისთვის გამოყოფილი დრო 30 წუთს შეადგენს.
8. კოორდინატორმა წერილობითი განცხადების მოსამზადებლად შეიძლება შეარჩიოს არაუმეტეს 8 ექსპერტისა (სიმბოლოების მაქსიმალური რაოდენობა 5600, სიტყვებს შორის დაშორებების ჩათვლით), რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც სასწავლო თემაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე წინადადებებს საბოლოო რეკომენდაციების შესამუშავებლად.
9. მონაწილეებს შეუძლიათ შეხვედრაზე მიიწვიონ 1 დამატებითი ექსპერტი ხმათა უმრავლესობით. ერთზე მეტი დამატებითი ექსპერტის შეთავაზების შემთხვევაში, მონაწილეები ატარებენ კენჭისყრას მე-10 ნაწილში აღწერილი მეთოდის გამოყენებით, რათა შეარჩიონ თუ რომელი მათგანი იქნება მიწვეული.
 10. მოწვევისთვის შერჩეულმა ექსპერტმა უნდა მიიღოს მონაწილეების არანაკლებ 51%-ის მხარდაჭერა და ქულათა ყველაზე მაღალი საერთო რაოდენობა.
10. ექსპერტებმა შეიძლება წარმოადგინონ დამატებითი, უფრო ხანგრძლივი პრეზენტაცია, ჩანაწერის ან/და სხვა მასალების სახით.
11. ექსპერტი უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია ასამბლეაში მონაწილეობისთვის.

ნაწილი 7. დაინტერესებული მხარეები

1. დაინტერესებული მხარე (ე.წ. სთეიქჰოლდერი) არის ორგანიზაცია, ინსტიტუტი ან ადამიანების არაფორმალური ჯგუფი, რომლებიც აქტიურად არიან დაკავშირებული მოქალაქეთა ასამბლეის განსახილველ თემასთან, ან რომლებზეც უშუალო გავლენას ახდენს მოქალაქეთა ასამბლეაზე წამოჭრილი საკითხები.
2. საკოორდინაციო გუნდი ადგენს დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალს, რომლებსაც იგი იწვევს მოქალაქეთა ასამბლეაზე მონაწილეობის მისაღებად. მოწვეულმა პირებმა თავიანთი მონაწილეობა უნდა დაადასტურონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოწვევაში მითითებულ ვადაში.
3. დაინტერესებული მხარეებს, რომლებიც არ მიიწვიეს მოქალაქეთა ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად, შეუძლიათ აცნობონ საკოორდინაციო გუნდს თავიანთი

დაინტერესების შესახებ მონაწილეობასთან დაკავშირებით მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდზე განთავსებული მითითებების და განსაზღვრული ვადის შესაბამისად. განაცხადში დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა აჩვენონ, რომ აკმაყოფილებენ 1-ელ პუნქტში მითითებულ წინაპირობებს.

4. დაინტერესებულმა მხარეებმა მოქალაქეთა ასამბლეაში საკუთარი მონაწილეობა უნდა დაადასტურონ მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდზე მითითებულ ვადაში, მე-7 პუნქტის შესაბამისად.
5. თუ პირი არ შეესაბამება მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კოორდინატორი არ აკმაყოფილებს განაცხადს და პირს აღნიშნულის შესახებ აცნობებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
6. კოორდინატორმა დაინტერესებული მხარეების მოქალაქეთა ასამბლეაში მონაწილეობის შესახებ განაცხადის წარდგენა შეიძლება დაუშვას მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდზე მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ეს შესაძლებელია პროცესის მოცემულ ეტაპზე.
7. მოქალაქეთა ასამბლეაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს უფლება აქვთ:
 - 1) შესთავაზონ თემები, რომლებიც განხილული იქნება მოქალაქეთა ასამბლეაზე სასწავლო ეტაპზე ან/და ექსპერტები აღნიშნული თემების შესახებ პრეზენტაციების წარსადგენად;
 - 2) გააკეთონ ზეპირი პრეზენტაცია სასწავლო ეტაპზე, რაც შეიძლება მოიცავდეს მითითებებს ექსპერტთა პრეზენტაციებზე (დაინტერესებული მხარეების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით);
 - 3) წარმოადგინონ რეკომენდაციები;
 - 4) მონაწილეებს წერილობითი ფორმით მიაწოდონ საკუთარი მოსაზრებების მოკლე შინაარსი (სიმბოლოების რაოდენობა 5600-მდე სიტყვებს შორის გამოტოვებების ჩათვლით);
 - 5) მონაწილეებს წერილობითი ფორმით მიაწოდონ თავიანთი კომენტარები ექსპერტების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების შესახებ;
 - 6) მონაწილეებს მიაწოდონ დამატებითი მასალები მოქალაქეთა ასამბლეაზე განსახილველი თემის შესახებ.
8. მონაწილეთა ჯგუფში იწვევენ არაუმეტეს 4 დაინტერესებულ მხარეს.
9. თუ დაინტერესებული მხარეების რაოდენობა 4-ს აღემატება, დაინტერესებულ

მხარეებს სთავაზობენ კოალიციების შექმნას და თითოეული კოალიციიდან 1 წარმომადგენლის შერჩევას. კოალიციაში დაინტერესებული მხარეების მინიმალური რაოდენობა გამოითვლება დაინტერესებული მხარეების საერთო რაოდენობის შესაბამისად.

10. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა კოალიციების შექმნა, დაინტერესებული მხარეების შერჩევა ხდება შემთხვევითობის პრინციპით.
11. რამდენიმე კოალიციის შექმნის შემთხვევაში, შეხვედრებზე იწვევენ იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებმაც კოალიცია შექმნეს, ხოლო დანარჩენები შეირჩევიან შემთხვევითობის პრინციპით.
12. შესწავლის ეტაპზე დაინტერესებული მხარეების მიერ გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციის წარდგენისთვის გამოყოფილი დრო 6 წუთს შეადგენს.
13. დაინტერესებული მხარეების პრეზენტაციების თანამიმდევრობა განისაზღვრება შემთხვევითობის პრინციპით.
14. მცირე ჯგუფებში დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიებისთვის გამოყოფილი დრო 20 წუთს შეადგენს.
15. მონაწილეებს შეუძლიათ შეხვედრაზე მიიწვიონ 1 დამატებითი დაინტერესებული მხარე ხმათა უმრავლესობით. ერთზე მეტი დამატებითი დაინტერესებული მხარის შეთავაზების შემთხვევაში, მონაწილეები ატარებენ კენჭისყრას მე-10 ნაწილში აღწერილი მეთოდის გამოყენებით, რათა შეარჩიონ თუ რომელი მათგანი იქნება მიწვეული. მოწვევისთვის შერჩეულმა დაინტერესებულმა მხარემ უნდა მიიღოს მონაწილეების არანაკლებ 51%-ის მხარდაჭერა და ქულათა ყველაზე მაღალი საერთო რაოდენობა.
16. მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებს წერილობითი განაცხადების წარმოდგენა შეუძლიათ, როგორც ცალკეულ დაინტერესებულ მხარეებს.
17. დაინტერესებული მხარეების პრეზენტაციები და წინადადებები რეკომენდაციებთან დაკავშირებით შეიძლება მხოლოდ მოქალაქეთა ასამბლეაზე განსახილველ თემას შეეხებოდეს.
18. დაინტერესებული მხარეები კოორდინატორს წარუდგენენ 1-ელი პუნქტის მე-3-მე-6 ქვეპუნქტებში მითითებულ მასალებს.
19. კოორდინატორს შეუძლია ვადაზე ადრე შეწყვიტოს პრეზენტაციის პირდაპირი ჩართვა თუ იგი გამოხატავს უპატივცემულობას ან სხვაგვარად არღვევს დემოკრატიულ პრინციპებს.
20. დაინტერესებული მხარეების მიერ ელექტრონულად წარდგენილი მასალები

ქვეყნდება მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდზე, იმ პირობით, რომ მათში დაცულია ცენზურა.

21. მერიის პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებს იწვევენ მონაწილეობთან მცირე ჯგუფებში 2 x 20-წუთიან დისკუსიებზე. პოლიტიკურ წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა 4-დან 8-მდე მერყეობს.

ნაწილი 8. ფასილიტატორები

1. ფასილიტატორი არის პირი, რომელიც უძღვება მოქალაქეთა ასამბლეის შეხვედრას ან დისკუსიებს მცირე ჯგუფებში.
2. ფასილიტატორის ფუნქციები შეიძლება შეასრულოს კოორდინატორმა.
3. ფასილიტატორის მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
 - 1) შეხვედრების ჩატარება;
 - 2) მცირე ჯგუფებში ან პლენარულ ნაწილში დისკუსიების თავმჯდომარეობა;
 - 3) შეხვედრების სათათბირო ეტაპის ერთობლივი დაგეგმვა.
4. ფასილიტატორი უფლებამოსილია მიიღოს ანაზღაურება ასამბლეაში მონაწილეობისთვის.

ნაწილი 9. დამკვირვებლები

1. მათ, ვინც პროფესიული ან აკადემიური თვალსაზრისით არის დაკავშირებული სათათბირო დემოკრატიასთან და მათ, ვინც დაინტერესებულნი არიან სათათბირო პროცესების ორგანიზებით, შეუძლიათ დამკვირვებლის სახით მიიღონ მონაწილეობა მოქალაქეთა ასამბლეაში.
2. დამკვირვებელი არ შეიძლება იყოს ექსპერტი ან დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელი.
3. დამკვირვებლებს შეუძლიათ დაესწრონ მონაწილეთა ჯგუფის ყველა შეხვედრას, თუმცა დისკუსიაში ან კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე.
4. მოთხოვნა დამკვირვებლის სტატუსის მიღებაზე უნდა გაეგზავნოს კოორდინატორს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მითითებების შესაბამისად. მოთხოვნების წარდგენა უნდა მოხდეს არაუგვიანეს შესაბამისი შეხვედრის გამართვამდე ერთი კვირით ადრე და უნდა მოიცავდეს კანდიდატის გამოცდილების აღწერას და ინტერესთა შესახებ ახსნა-განმარტებას.

ნაწილი 10. რეკომენდაციების შემუშავება

1. რეკომენდაცია წარმოადგენს მონაწილეთა მიერ დამტკიცებულ გადაწყვეტილებას მოქალაქეთა ასამბლეაზე განსახილველ თემასთან მიმართებაში.
2. რეკომენდაციებთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა შეუძლია ნებისმიერ პირს გარდა კოორდინატორის, ფასილიტატორის ან დამკვირვებლისა.
3. ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს რეკომენდაციებთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა შეუძლიათ მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდის მეშვეობით.
4. ექსპერტები და დაინტერესებული მხარეები რეკომენდაციებთან დაკავშირებულ წინადადებებს კოორდინატორს წარუდგენენ ელექტრონული ფორმით.
5. მონაწილეები რეკომენდაციებთან დაკავშირებულ წინადადებებს კოორდინატორს წარუდგენენ მოქალაქეთა ასამბლეის მიმდინარეობის დროს, როგორც ეს შეხვედრების დროს გაჟღერდება.
6. ფართო საზოგადოების წარმომადგენლების, დაინტერესებული მხარეების და ექსპერტების წინადადებები რეკომენდაციებთან დაკავშირებით შეიძლება გაიგზავნოს მონაწილეთა ჯგუფის პირველ შეხვედრამდე არაუგვიანეს ორი დღისა, რომელიც ვებგვერდზე (თარიღები მითითებულია ვებგვერდზე). აღნიშნული დღის შემდეგ წარდგენილი წინადადებები რეკომენდაციებთან დაკავშირებით შეიძლება მიღებული იქნეს კოორდინატორის თანხმობის შემთხვევაში.
7. კოორდინატორი ამზადებს შემოთავაზებული რეკომენდაციების ჩამონათვალს და უგზავნის მონაწილეებს. ყველა გაგზავნილი წინადადება ქვეყნდება მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდზე.
8. მონაწილეებს შეუძლიათ გააერთიანონ რეკომენდაციებთან დაკავშირებული წინადადებები ან შექმნან ახალი წინადადებები წარდგენილი წინადადებების საფუძველზე.
9. განხილვის ფაზის პირველ დღეს შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებული წინადადებებისთვის ტარდება წინასწარი კენჭისყრა. საბოლოო კენჭისყრის შედეგები ქვეყნდება მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდზე და ეგზავნებათ დაინტერესებულ მხარეებს და ექსპერტებს კონსულტაციისთვის (განხილვის ეტაპი). შემოთავაზებულ რეკომენდაციებზე კომენტარების ან/და ცვლილებების წარდგენა ნებისმიერ პირს შეუძლია. ყველა გაგზავნილი მოსაზრება გასაცნობად გადაეცემათ მონაწილეებს და ქვეყნდება მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდზე.
10. საბოლოო კენჭისყრამდე ხდება შემოთავაზებული რეკომენდაციების

ფორმულირების დახვეწა. ამ მიზნით, მონაწილეებს შეუძლიათ დახმარება სთხოვონ პროფესიონალ რედაქტორს ან იურისტს.

11. მონაწილეებს შეუძლიათ შესწორებები შეიტანონ რეკომენდაციებთან დაკავშირებულ წინადადებებში განხილვის ეტაპის შემდეგ. თუმცა, ამ ეტაპზე რეკომენდაციებთან დაკავშირებული ახალი წინადადებების შემუშავება უკვე შეუძლებელია.
12. გადაწყვეტილება იმის შესახებ, რეკომენდაციასთან დაკავშირებული კონკრეტული წინადადება განხილული უნდა იქნეს როგორც ახალი თუ როგორც ძველი წინადადების შესწორებული ვერსია, მიიღება მონაწილეების მიერ და მოითხოვს მონაწილეთა 90 %-ის თანხმობას.

ნაწილი 11. საბოლოო კენჭისყრა

1. საბოლოო რეკომენდაციებთან დაკავშირებულ კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს ყველა მონაწილე, რომლებიც ავსებენ ფარული კენჭისყრის ბიულეტენს.
2. კენჭისყრის ბიულეტენებს ამზადებს საკოორდინაციო გუნდი.
3. მონაწილეები ხმას აძლევენ თითოეულ წინადადებას ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ვარიანტის ამორჩევით:
 - 1) სრულიად ვეთანხმები;
 - 2) ვეთანხმები;
 - 3) ვეთანხმები, თუმცა მაქვს გარკვეული ეჭვები ან უნდობლობა;
 - 4) ბევრი ეჭვი მაქვს;
 - 5) უფრო მეტად არ ვეთანხმები
 - 6) არ ვეთანხმები;
 - 7) კატეგორიულად არ ვეთანხმები;

სადაც 1-3 ვარიანტები მიუთითებს რეკომენდაციის შესახებ წინადადების მხარდაჭერას, ხოლო 4-7 ვარიანტები მხარდაჭერის არარსებობას.

4. თითოეულ ხმაზე ქულების მინიჭება ხდება შემდეგნაირად:
 - 1) სრულიად ვეთანხმები - 3 ქულა;

- 2) ვეთანხმები - 2 ქულა;
- 3) ვეთანხმები, თუმცა მაქვს გარკვეული ეჭვები ან უნდობლობა - 1 ქულა.
5. საშუალო არითმეტიკული იანგარიშება ქულების მიხედვით, რომლებიც მიღებულია მე-4 პუნქტის შესაბამისად.
6. კოორდინატორი ამზადებს კენჭისყრის ბიულეტენებს, ხოლო მონაწილეები ახორციელებენ მის გადასინჯვას.
7. თუ შემოთავაზებული ორი ან მეტი რეკომენდაცია, რომლებიც ერთსა და იმავე საკითხს შეეხება, ურთიერთგამომრიცხავია, ხდება მათი დაჯგუფება და ტარდება კენჭისყრა მე-3 და მე-5 პუნქტებში აღწერილი პრინციპების შესაბამისად.
8. რეკომენდაცია მონაწილეების მიერ დამტკიცებულად მიიჩნევა, თუ:
 - 1) მას მხარს უჭერს მონაწილეთა არანაკლებ 80%, და
 - 2) მისთვის მინიჭებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული შეადგენს არანაკლებ 1.75-ს.
9. თუ ორი ურთიერთგამომრიცხავი რეკომენდაცია მიიღებს მონაწილეთა არანაკლებ 80%-ის მხარდაჭერას, დამტკიცებულად ჩაითვლება ის რეკომენდაცია, რომელმაც ყველაზე მაღალი ქულათა საერთო რაოდენობა მიიღო, რომელიც მიენიჭა მე-4 პუნქტის შესაბამისად.
10. თუ ორი ან მეტი ურთიერთგამომრიცხავი წინადადება მიიღებს ერთი და იგივე ოდენობის ქულებს, შეიძლება მოხდეს მათი განმეორებით განხილვა და კენჭისყრის ჩატარება, ვიდრე არ გამოვლინდება გამარჯვებული წინადადება.
11. თუ წინადადებამ რეკომენდაციის შესახებ ვერ მიიღო მონაწილეთა ხმების სულ მცირე 80%, მაგრამ მონაწილეთა 2/3 მხარს უჭერს მას, შესაძლებელია მისი თავიდან განხილვა, შესწორებების შეტანა და განმეორებითი კენჭისყრა. შემოთავაზებული რეკომენდაციისთვის კენჭისყრა შესაძლებელია არაუმეტეს სამჯერ. თუ 80%-იანი მხარდაჭერა არ იქნა მიღწეული, ითვლება, რომ რეკომენდაციასთან დაკავშირებული წინადადება ვერ დამტკიცდა.
12. კოორდინატორს შეუძლია გააერთიანოს რეკომენდაციებთან დაკავშირებული წინადადებები ბლოკებად, მონაწილეთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში.
13. იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციათა რაოდენობა 10-ს აღემატება, შეიძლება შეიქმნას იმ რეკომენდაციათა რანჟირებული სია, სადაც ყველაზე მაღალქულიანი რეკომენდაციები განთავსდება სიის დასაწყისში, ხოლო ყველაზე დაბალქულიანები

- სიის ბოლოში.

14. რეკომენდაციათა ჩამონათვალი, მხარდამჭერ მონაწილეთა პროცენტულ მაჩვენებელთან ერთად ქვეყნდება მოქალაქეთა ასამბლეის ვებგვერდზე რეკომენდაციების ოფიციალური წარდგენისთანავე.
15. მოქალაქეთა ასამბლეა ასრულებს მუშაობას, როდესაც რეკომენდაციები წარედგინება საზოგადოებას.

ნაწილი 12. შედეგი

1. მერია წერილობით პასუხობს ყველა რეკომენდაციას მათი მიღების მომენტიდან 3 თვის ვადაში.
2. რეკომენდაციებზე პასუხი ქვეყნდება მერიის ვებგვერდზე და გასაცნობად გადაეცემა ყველა მონაწილეს.